წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს სხდომის

ოქმი # 12

ქ. წალკა; 30.11. 2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა – ირაკლი გიგინეიშვილი;
საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 დეპუტატი: გოჩა ხაჩატურიან, ავთანდილ ვანაძე, რადიკ სარკისიან, ანტარამ მელტონიან, ნუგზარ ჩამურლიევი, მელიტონ პაკელიან,ლევონ მარკოსიან, ჯემალ ბერიძე ჯაბა აბულაძე, მანანა გულედანი, სარკის ოგანესიან, იდა ბალაბანოვა, ალექსეი მუხსიევი, რუბენ ანესიან, მარინე ირემაძე, უშანგი ბოლქვაძე, ჯონი საბაძე, მალხაზ მგელაძე, მერაბ იაკობაძე, გურამ მგელაძე, მამია ირემაძე, ასლან მგელაძე, ჯონი ღორჯომელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ანზორ ხინიკაძე;**
წალკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ფეოხარი პარასკევოვ;**
წალკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ამირან საყვარელიძე.**

სხდომა დაიწყო: 11:00 სთ;
სხდომა დასრულდა: 11:45 სთ;

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ";

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე";

3. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის ნოემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

სხდომის თავმჯდომარე ირაკლი გიგინეიშვილმა საკრებულოს წევრებს განუცხადა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულია წერილი რომლითაც „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 50-ე მუხლის 61 პუნქტის თანახმად, ითხოვს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტიდან ამოღებული იქნეს განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე", ვინაიდან გაჭიანურდა გადასაცემი წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გამოკვლის პროცედურები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს;
საკრებულოს ღია კენჭისყრით (24 მომხრე, 0 წინააღმდეგი) ერთხმად დაამტკიცა
სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ";

/მომხსენებელი: ირაკლი გიგინეიშვილი წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
/თანამომხსენებლები: ანზორ ხინიკაძე წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, მელიტონ პაკელიანი სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ანტარამ მელტონიან სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჯაბა აბულაძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, ჯემალ ბერიძე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"ს თავმჯდომარე/;

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის ნოემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ";

/მომხსენებელი: ჯაბა აბულაძე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი/;

სხდომამ განიხილა:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელმა: ი.გიგინეიშვილმა საკრებულოს გააცნო დადგენილების პროექტი;
თანამომხსენებლებმა: ა.ხინიკაძემ საკრებულოს გააცნო მერიის პოზიცია განსახილველი დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე, მ.პაკელიანმა საკრებულოს გააცნო სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ა.მელტონიანმა საკრებულოს გააცნო სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ჯ.აბულაძემ საკრებულოს გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა დადგენილების პროექტზე, ჯ.ბერიძემ საკრებულოს გააცნო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს დასკვნა დადგენილების პროექტზე;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებლებთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

დადგენილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით (22 მომხრე, 0 წინააღმდეგი), (დადგენილება #19 თან ერთვის);

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2023 წლის ნოემბრის თვის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ"

/მომხსენებელი: ჯ.აბულაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრმა საკრებულოს გააცნო განკარგულების პროექტი;

საკრებულოს წევრებს აღნიშნულ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელთან შეკითხვები, ან შენიშვნები არ გააჩნიათ.

განკარგულება მიღებულ იქნა ხმათა უმრავლესობით (24 მომხრე, 0 წინააღმდეგი) (განკარგულება #გ-119.11923334001 თან ერთვის);

სხდომის თავმჯდომარე ი.გიგინეიშვილი